პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1977
პარასკევი
3
ივნისი
№ 129
(16869)
ფასი
2 კაპ.
1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ—

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

# სწავლა — შრომით

კპკ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. იბრეჟნევმა ნათლად განსაზღვრა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შექმნის საჭიროება, მისი პიროსები და მიზეზები. ეს არის ახლანდელი კონსტიტუციის მიღებიდან 40 წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს საზოგადოებაში მომხდარი ღრმა ცვლილებები. ამ აღმავალ და კეთილმყოფელ ცვლილებათა შორის უნდა დავასახელოთ საბჭოთა საზოგადოების სოციალური სახის შეცვლაც: გარდაიქმნა მუშათა კლასი, რომლის რიგებში დღეს ათეულ მილიონობით განათლებული, ტექნიკურად წიგნიერი. პოლიტიკურად მომწიფებული ადამიანია; გარდაიქმნა გლეხობა, რომლის ფსიქოლოგია სოციალიზმის საფუძველზე ჩამოყალიბდა. კოლმეურნე შეიარაღებულია თანამედროვე ტექნიკით, მისი განათლების დონე, ცხოვრების წესი ხშირად არც კი განსხვავდება ქალაქურისაგან, ჭეშმარიტად სახალხო სოციალისტური გახდა ინტელიგენცია...

ყოველივე ამაში, საბჭოთა საზოგადოების სოციალური სახის შეცვლაში უდიდესი იყო და არის სახალხო განათლების, საბჭოთა სკოლის ცხოველმყოფელი, ქმედითი როლი. ამყამად მოქმედი საბჭოთა კონსტიტუციის მიღებიდან განვლილ ოთხ ათეულ წელიწადში, უფრო მეტიც — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან განვლილ ექვს ათწლეულში საბჭოთა სკოლა იყო და არის ის უშრეტი წყარო, საიდანაც ჩვენი საზოგადოება იღებს ცოდნას, განათლებას, მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის შევსებასა და ცვლას. ამ უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის როლს კვლავაც შეასრულებს პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის, ხალხის, მთელი სოციალისტური სახელმწიფოს გარემოსილი ჩვენი სკოლა. „ჩვენ მომავლის პარტია ვართ, — ამბობს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, — ხოლო მომავალი ეკუთვნის ახალგაზრდობას, ვართ პარტია ნოვატორებისა, ნოვატორებს კი მუდამ ხალისით მიჰყვება ახალგაზრდობა“.

საბჭოთა ახალგაზრდობის სულისა და ხასიათის, ოცნებათა და მისწრაფებათა ეს ღრმად ფსიქოლოგიური განსაზღვრა თავის განსაკუთრებულ ცხოველმყოფელობას იძენს ჩვენს დღეებში, როცა სკოლა მფლეველი წუთებს განიცდის — დაირეკა უკანასკნელი ზარი მომავალი სახწავლო წლისა, ხოლო გამოსაშვებ კლასებში დაიწყო გამოცდები.

ახლა მთელი ჩვენი რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ქვეყნის საზრუნავი ის არის, რომ უკეთ და უფრო აქტიურად დავასრულონ სწავლაში მფელი წლის ჭაფაგამოვლილი ნორჩი თაობა — პიონერები და მოსწავლეები; ზრუნვის ობიექტი ხდება უფროსკლასელთა შრომითი სემესტრის ორგანიზებული მოწყობა და წარმართვა; აუცილებელია არ უნდა მოვაკლოთ თვალი ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებსაც გადაუწყვეტიათ სტუდენტები გახდნენ. ახალგაზრდობა პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, საბჭოთა, სამეურნეო, სახალხო განათლების, სამედიცინო ორგანიზების მუდმივ ყურადღებას, ზრუნვას, დახმარებას საჭიროებს.

მაგრამ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ — საშუალო სკოლის იმ კურსდამთავრებულ ჭაბუკთა და ქალიშვილთა გზა, რომლებიც სასწავლებლებში ჭელს არ განაგრძობენ სწავლას. სანთ, ახალგაზრდებო?! — ეს კითხვა მთელი სერიოზულობით უნდა დასვამ სწორედ ახლა, ამ დღეებში, საშუალო სკოლის ატესტატისათვის მიმდინარე გამოცდების პერიოდში, რათა გამოცდების დამთავრებისთანავე განვსაზღვროთ ამ ახალგაზრდების გზა. თიანეთის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ბუთ ათეულზე მეტმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა გადაწყვიტა ემსახუროს საშობლოს შეიარაღებულ ძალებში ფაბრიკაში და საკოლმეურნეო მინდვრებში, შრომით ადგილს ქვეყნის წარმატებანი, უჩვენოს უმცროსებს ამის მაგალითი, რომ შრომაც სწავლაა, და ღირსეულად შეხვდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს. საგულისხმოა, რომ სანშობლოს სიყვარული შრომით სურთ დაამტკიცონ იმ სკოლის კურსდამთავრებულებმა, რომელიც სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის ველზე დაცემულთა თავიანთი მიწის შვილის პოეტ მირზა გელოვანის სახელობისაა. ხაით წავლენ ამავე სკოლის უფროსკლასელები? — უკვე შექმნილია შრომითი ბანაკი, გაფორმებულია ხელშეკრულება თიანეთის საბჭოთა მეურნეობასთან — ბანაკის 120 ბავშვი გეგმით დაამუშავებს ხუთ ჰექტარ ფართობს, გეგმის გადამეტებით კი — ორ ჰექტარს. საზაფხულო შრომითის სემესტრში მათ უხელმძღვანელებენ ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები. ასე გრძელდება სწავლა, სწავლა — შრომით!

საქართველოში წელს ივლისიდან პერიოდში შრომისა და დასვენების 232 ბანაკი იმუშავებს. თბილისელი, რუსთაველი, ქუთაისელი მოსწავლეები იმუშავებენ საბჭოთა მეურნეობებში, სანერგე მეურნეობებში, ხოლო რაიონების მოსწავლეები ადგილობრივ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

მოსწავლე ახალგაზრდობას, საშუალო სკოლადამთავრებულ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება შეუძლიათ ასევე, როდესაც რეპუბლიკაში დიდი გარდაქმნები მიმდინარეობს, ისინი ამ დიდი გარდაქმნების მოწმენი და მონაწილენი იყვნენ, ისევ ამ კლასავაც უნდა იყვნენ, რადგან ჩვენი ხალხის, ჩვენი რესპუბლიკის ხვალინდელი დღე კიდევ უფრო საინტერესო იქნება — დიდად განვითარდება მრეწველობა, რამდენიმე წელიწადში საბოლოოდ თავს დავალწევთ ჩამორჩენას ეკონომიკის დარგში, სხვა დარგებშიც გვექნება წინსვლა. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც ჩვენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, სახალხო მეურნეობის ხელოვნებისა და ტექნიკის, ახალგაზრდობის ენერგიის შევსება გვეყოლება. საქართველოს სსრ მასწავლებელთა მეოთხე ყრილობის საპატიო ტრიბუნიდან გაისმა ეს სიტყვები; ჩვენმა სკოლებმა იგი პროგრამად გაიხადეს და მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის პროცესი წინა პლანზე წამოსწიეს. მაგრამ იმავე ყრილობის ტრიბუნიდან პედაგოგებმა ის რჩევაც მიიღეს, რომ ბავშვები თავიანთ „მეხამე სემესტრში“ სტაჟიორ შრომას კი არ ეწეოდნენ, არამედ შრომას ჭეშნდეს პედაგოგიური შინაარსი, აღმზრდელობითი შინაარსი, აღმზრდელობითი ღირებულება.

პიონერული ბაფხული ჩვენს რესპუბლიკაში. განსაკუთრებით უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე, ჭეშმარიტი ზეიმია ბავშვებისა, ბაშმარიტი სკოლაა ღია ცისქვეშ — ტყეში, კარვებში, ზღვისა თუ მდინარის პირას, მთასა თუ ბარში, იგი აგრეთვე ჭეშმარიტი სამშენელოა მოზარდთა ჯანმრთელობის. ცხადია, პარტიული ორგანიზაციები არც წელს იქნებიან შორიდან მაცქერალნი პიონერული ბანაკებისა და ზრუნვას, დახმარებას არ მოაკლებენ მათ.

ქარხნებს, მშენებლობებს, ტრანსპორტს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს, სახალხო მეურნეობის ყველა უბანს, რომლებიც ელიან სკოლიდან ახალგაზრდებს, განსაკუთრებული ზრუნვა მართებთ. გუშინდელმა მოსწავლეებმა უნდა იგრძნონ, რომ ისინი კვლავ სკოლაში, კვლავ ნაჩვევ საყვარელ კოლექტივში არიან, ოღონდ ამ განსხვავებით, რომ აქ, ამ ახალში, სწავლა მიმდინარეობს შრომით, სწავლა ცხოვრებისა, სწავლა დამოუკიდებელი, აქ დიდი ოსტატ დამრიგებელთა როლი. მარტო შარშან გეგმით გათვალისწინებული იყო 38.500 საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდის ბანაკებში ყოფნა. ფაქტიურად გეგმა 103 პროცენტით შესრულდა. ბევრმა ბავშვმა ბევრად მეტი, მათ შორის სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობაში.

წარმოების, სოფლის მეურნეობის დარგის კომკავშირული ორგანიზაციები თავიანთი ახალი შევსების გულკეთილი მახსოვრებელი უნდა გახდნენ. საშუალო სკოლადამთავრებულთა შრომითი მოწყობის საქმეში კვლავ დიდი როლი უნდა შეასრულონ კომკავშირულმა კომიტეტებმა, განათლებისა და შრომის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოებმა.

მაშ, შრომაც სწავლაა, ახალგაზრდებო, ნუ შეეხეკებით მის წინ, იგი თქვენ დიდ სიხარულს, ხულიერ და ფიზიკურ მხნეობას მოგვიტანთ, რადგან დაინახავთ, რომ ეს თქვენი შრომა ხმარდება საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას, მის დიდებას!

# საიუბილეო ვაჩარი

## შეჯიბრების დღიური

## ექვსი თვის დავალება—ვადამდე

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, რომლებმაც ქუთაისის და თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა თაოსნობის პასუხად ვალდებულება იკისრეს დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელიწადს უჩამორჩენლებად იშრომონ, თანდათან აძლიერებენ შეჯიბრებას წარმოების ყველა რგოლში, ყველა უბანზე სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის.

დადგა ამ შეჯიბრების გადამწყვეტი ეტაპი, წლის პირველი ნახევრის ბოლო თვე, როცა უნდა შეჯამდეს გაწეული მუშაობის შედეგები. რედაქციაში ბევრი ახლა მოდის მრეწველობის კოლექტივების თავდადებული შრომაზე. ისინი სამშობლოს უპატაკებენ, რომ ხუთი თვის გეგმები და ვალდებულებები პირნათლად შეასრულეს, ამასთან კისრულობენ ივნისი დამკვრელური შრომით აღნიშნონ.

**თბილისი.** ორ დღეში შევასრულოთ სამი დღის ნორმა! — ასლახან ეს თაოსნობა გამოიჩინა ტრიკოტაჟის თეთრეულის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც ლ. კორძახია მეთაურობს. ახალგაზრდებმა ხუთი თვის დავალება და ვალდებულება პირნათლად შეასრულეს — გეგმის გადამეტებით 1,5 ტონა ნართი გამოუშვეს.

ნახევარი წლის დავალების გადამდე შესრულებისათვის ბრიგადამ გადაწყვიტა გაზარდოს თავისი მომსახურების ზონა და 200 კილოგრამი ზედგამეთი ნართი დაამზადოს. ბრიგადის წევრები წლის ბოლომდე გეგმის. გადამეტებით ოთხი ტონა ნართის გამოშვებას კისრულობენ.

**ბიათური.** ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ეიტაზე მდგომი ქალაქის სამრეწველო საწარმოები დღითი დღე ზრდიან შრომითს ტემპს და ახალ-ახალ საჩუქრებს უმზადებენ ჩვენი ქვეყნის დიდ თუბილეს.

მანგანუმის ქალაქის მშრომელებმა ხუთი თვის გეგმა ვადაზე ხუთი დღით ადრე შეასრულეს. დარჩენილი დღეების ანგარიშში მათ აწარმოეს 1.450 ათასი მანეთის პროდუქცია და დამატებით გაასაღეს 1.030 ათასი მანეთის სამრეწველო ნაწარმი.

მიღწეული წარმატება ბევრად განაპირობა „ჭიათურმანგანუმის“ სამთამადნო კომბინატის კოლექტივმა — ლენინის, სტალინის, დიმიტროვის სახელობის და ახალი ითვისის მაღაროთასმმართველობამ. კარგი შრომით თავი გამოიჩინეს ადრეული ქალაქის სამრეწველო კომბინატის, პეტროკომბინატისა და სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებმა.

ეს რედაქციას აცნობეს პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **თ. მარკველაშვილმა** და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ლ. გოგატიშვილმა.**

**ტყიბული.** (**ხაკ. კორ.**). 21 ივნისი სათობი ამოიღო წლიური ვალდებულების ანგარიშში ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა და 6 დღით ადრე გაანაღდა ხუთი თვის გეგმა. ნახევარი წლის დავალების ვადამდე შესრულებასთვის შეჯიბრებაში წინ მიდის მეექვსე საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც მ. გვინტრაძე ხელმძღვანელობს. მეექვსეუბნელთა ანგარიშში წლის დამდეგიდან ამოღებულია 6 ათასი ტონა ზედგამეთი ქვანახშირი. მეექვსე უბანს მეტოქეობას უწევს შეხუთე უბნის კოლექტივი.

# საუბარი კრემლში

**2 ივნისს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტადმასკომის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე გ. ოპრია.

საუბარში, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, შეეხნენ სსრ კავშირისა და რუმინეთის თანამშრომლობის განვითარების საკითხებს სხვადასხვა დარგში. საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი და რუმინეთის ელჩი სსრ კავშირში გ. ბადრუსი.

# შეხვედრა პარტიულ აქტივთან

**დონის როსტოვი.** 2 ივნისი. (საკკისი). როსტოვის ოლქში ყოფნის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. დ. კულაკოვი შეხვდა სკკპ საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებს, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს. განიხილეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების რეზერვების გამოყენებასთან, მიმდინარე წელს ოლქის სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

# საბჭოთა დელეგაცია ფილიპინებში

**ფილიპინები, 2 ივნისი.** (**საკდისი**). აქ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების მოწვეულთა ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ბ. გოლუშევი.

# მიფრინავს „ კოსმოს-914“

**1977 წლის** 31 მაისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-914“. (საკდისი).



# იზრდება საკვების მარაგი

## მეცხოველეობა — დამკვრელური ფრონტი

საგარეჯოს რაიონის გარეჯის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მინდვრებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მრავალწლიანი ბალახების აღება. მეურნეობაში ყოველწლიურად იზრდება საკვების მარაგი, მეცხოველეები იღვწიან, რომ პირუტყვს ზამთრისათვის ჭარბად მოუმარაგონ ყუათიანი საკვები.

წელს მეურნეობაში დამზადდება სამი ათასი ტონა ხენეული, ამდენივე სილოსი და მრავალი სხვა საკვები.

 სურათებზე: მარკვნივ — — საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მექანიზატორი ვალერიან თარიმანიშვილი. ქვემოთ — მრავალწლიანი ბალახის აღება გარეჯის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ე. ეგინოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# საუბარი ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**ალმა-ათა,** 2 ივნისი. (საკდისი). დღეს ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მეგობრული საუბარი ჰქონდათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს დ. ა. კუნაევს და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს, რომელთაც სათავეში უდგას ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი. ამხ. დ. ა. კუნაევმა ბულგარელ მეგობრებს გააცნო რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა სკკპ XXV ყრილობის, ყაზახეთის კომპარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულების საქმეში.

ამხ. ტ. ჟივკოვმა ილაპარაკა ბულგარეთის კომპარტიის მუშაობაზე პარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომელმაც ბულგარეთის მიწა-წყალზე განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის ახალი ამოცანები დასახა.

შეეხო რა წარმატებით დამთავრებულ საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მოლაპარაკებს, ამხ. ტ. ჟივკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს ბულგარეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების, მოწვეული ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი და რუმინეთის ელჩი სსრ კავშირში გ. ბადრუსი.

# „ ,,პრავდის“ ფურცლებზე

„ლენინური დეკრეტი ზავის შესახებ, რომელიც დიდი ოქტომბრის გამარჯვებისთანავე იქნა მიღებული, ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხალხის საგარეოპოლიტიკური პროგრამა — ბრძოლის პროგრამა გახდა ქვეყნად მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის. ყველა ხალხის ინტერესებს რომ შეეხებამება. მას შემდეგ ისტორიის მსვლელობამ „უდავოდ დამტკიცა: სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია, — ნათქვამია მოწინავე წერილში „მშვიდობის დროშა“.

მსოფლიოში მშვიდობის შემდგომი განმტკიცების, დაძაბულობის შენელების, კაცობრიობის პროგრესისათვის ბრძოლის ავანგარდში დგანან სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები, რომელნიც გაერთიანებულ ძალებით ახორციელებენ ამ კეთილშობილურ იდეებს, კონკრეტულ ამოცანებს სკკპ XXV ყრილობამ, მომმე პარტიების ყრილობებმა რომ დასახეს. „სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური საგარეო პოლიტიკის თანამიმდევრული და მტკიცე განხორციელებით სოციალისტური თანამეგობრობა განაგრძობს დიდი ოქტომბრის საქმეს — მშვიდობის, უშიშროების, ხალხთა თანაშრომლობისა და მეგობრობის, კაცობრიობის პროგრესის საქმეს“.

დადგა ზაფხული. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მთავრდება მოსავლისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი — საგაზაფხულო კულტურების თესვა. მალე ალოობაც დაიწყება. გაზეთი ბეჭდავს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობების მიმობილვას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ — „ზაფხულს რომ ვხვდებით“. რუბრიკა („მოსავლის ესტაფეტა“), რომელშიც კერძოდ, ვკითხულობთ: „ალოობისათვის ქვეყნის მეურნეობებში უკვე შეკეთებულია კომბაინების დიდი ნაწილი... მაგრამ ალოობის პირველმა დღეებმა ნაკლოვანებებიც გამოავლინა. ხაქართველოში, მაგალითად, მარცვლეულის უანები გაჭრეს, ხოლო მთელ რიგ რაიონებში შეუკეთებელია კომბაინების თითქმის მეოთხედი ნაწილი“.

„პოლიტგამომცემლობამ“ გამოსცა კრებული „სკკპ XXV ყრილობა: თეორიისა და პრაქტიკის ერთობა“ (გამოცემა პირველი), რომელიც საბჭოთა ადამიანებს ეხებიმარება უფრო ღრმად შეითვისონ ამ ისტორიული ყრილობის იდეები, შეიცნონ პარტიის პოლიტიკის კანონზომიერებანი, მისი აქტიური აღმშენებლობითი საქმიანობის შინაგანი მექანიზმი. „პრავდა“ მეორე გვერდზე აქვეყნებს კრებულის ვრცელ მიმოხილვას სათაურით „იდეები, რომლებიც დიალექტიკურ“ ...



# დროულად, შეეჭიდროებულ ვადებში, უდანაკარგოდ აპილოთ საიუბილეო წლის მოსავალი!

## მხარდაჭერა—საგარეჯოელ მემინდვრე-მექანიზატორთა თაოსნობას

### სიღნაღი

**ორგანიზებულად,** შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ ავიღოთ პურეულის მოსავალი, შეკასრულოთ მარცვლეულისა და საკვების დამზადების გეგმა-ვალდებულება! — ასეთი დევიზით გამართა სოციალისტური შეჯიბრება სიღნაღის რაიონის მექანიზატორებმა, მბგენელ-მთესველებმა. მათი პირობაა ალოობა ისე მოაწყონ, რომ 18.200 ჰექტარ ფართობზე თავთავიანი მარცვლეული, ლერტერების მოსავალი აღება დაამთავრონ 10-12 სამუშაო დღეში, ამასთან დროულად უზრუნველყონ სახელმწიფოსათვის მაღალპროდუქტიული მარცვლეულის მიყიდვა, 20 ცენტნერის ნაცვლად ყოველ ჰექტარზე მიიღონ 29 ცენტნერი მარცვალი, — განაცხადა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. ქარუმაძემ.**

პურეულის მკისათვის წესრიგშია 108 კომბაინი. სეზონში თვითეული მათგანის დატვირთვა გაიზრდება 190 ჰექტარამდე. ალოობაზე მომუშავეებს უზრუნველყოფენ ცხელი კერძებით. დასვენების დროს მოემსახურებიან მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

შარშანდელთან შედარებით მეტი ყურადღება დაეთმობა პურეულის ორ-ფაზად მკას და ამით საგარეჯოელების მაგალითისაებრ საკუთარი ძალებითა და საშუალებებით, სხვა რაიონების დაუხმარებლად, რაიონში მოლიანად აიღებენ მოსავალს.

სოფლების ეკერინ, ტიბანინის, ბოდბისხევის, ჯუგაანის კოლმეურნეობების მექანიზატორებმა უკვე დაიწყეს ქერის მკა. მოსავალი აღებულია 372 ჰექტარზე. წელს სახელმწიფოს მიეყიდება 11.000 ტონის ნაცვლად 13.000 ტონა მარცვლეული.

(„კომუნისტის“ კორ.).

### გურჯაანი

**რაიონის** მშრომელებმა საიუბილეო წელს ადრევე მოუარეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების ნათესებს და შედეგიც კარგია. მოსალოდნელია სამუშაოდ ჰექტარზე მიიღონ 30 ცენტნერი მარცვლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25,6 ცენტნერისა. ახლა მოსავლის ადრეულად და უდანაკარგოდ აღებისათვის მთელი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. წელს პურეულის მკაზე 42 კომბაინი იმუშავებს, — თქვა პარტიის გურჯაანის რაიკომის მეორე მდივანმა **თ. გილიგაშვილმა.**

გათვალისწინებულია მექანიზატორებმა ისე ამუშაონ კომბაინები, რომ თვითეულის დატვირთვა აიყვანონ სეზონში სულ მცირე 180 ჰექტარამდე. ეს კი საზოგადოებრივ მეურნეობებს შესაძლებლობას მისცემს მოსავალი აიღონ საუკეთესო ვადებში.

მოწინავე კომბაინერთა წახალისებისათვის დაწესდება ფულადი პრემიები, გარდამავალი გმბეჭდილები, ამასთან მათ მიეყიდებათ მსუბუქი ავტომანქანები. ალოობაზე მომუშავეების განსაკუთრებულ მომსახურებას გაუწევენ სატრანსპორტო, სავაჭრო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის მუშაკები. („კომუნისტის“ კორ.).

### ლაგოდეხი

**საიუბილეო** წლის მოსავლის უდანაკარგოდ აღება-დაბინავებისათვის საგარეჯოს რაიონის მექანიზატორთა პატრიოტული მიმართვის პასუხად ლაგოდეხელი მექანიზატორები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, — განაცხადა საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა **ლ. კიბასიძემ,** — და გადაწყვიტეს მოსავლის აღების პერიოდში მექანიზატორებმა იმუშაონ ორ ცვლად. „საქსოფტექნიკის“ რაიონულმა გაერთიანებამ იკისრა სპეციალურად შეარჩიოს გამოცდილი სპეციალისტები, რომლებიც უშუალოდ მინდვრებში გაუწევენ მომსახურებას კომბაინებსა და ტექნიკას.

წელს მეტი ყურადღება დაეთმობა პურეულის ორჯერად — ორ ფაზად მკას, შედგენილია მოსავლის აღების გეგმა-გრაფიკი, ალოობის დროს ყოველდღე იმუშავებს 80 კომბაინი და სხვა საჭირო ტექნიკა. წელს შარშანდელთან შედარებით ჰექტარზე 6 ცენტნერით მეტი მოსავალი იქნება. გადაწყვეტილს 8.500 ჰექტარზე მოსავლის აღება დაამთავრონ 12-15 სამუშაო დღეში და სახელმწიფოს მიჰყიდონ 6.000 ტონის ნაცვლად 6.500 ტონა მარცვალი („კომუნისტის“ კორ.).

# დიდი ნდობა

**19 ივნისი**

**ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა!**

*ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია*

**თბილისი.** სასკოლო ინვენტარის თბილისის მეშა ირისტო სტეფანეს ძე შჩერბაკოვი ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების პირველი მაისის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარებულ ლია № 73 საარჩევნო ოლქში ამ ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.

**გორი.** ვარიანის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი ელენე ნიკოლოზის ასული თვალიაშვილი გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს არჩევნების № 58 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ.

**ზუგდიდი.** ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს არჩევნების № 6 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ განიხილა ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის საკითხი და დადგინა, რომ ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი ტარიელ პლატონის-ძე აფხაზავა.

# ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები

**რესპუბლიკაში** ყოველდღიურად ფართოვდება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების სამზადისი. საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს საქართველოს მშრომელთა მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა სრული მოწონების, დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში.

დამთავრდა საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი — მშრომელებმა დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატები, ისინი, ვისაც ანდეს თავიანთი ინტერესების წარმომადგენლობა სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში, ვინც დეპუტატობის ღირსი იქნება. ამ პასუხსაგებ ნდობას ისინი პირნათლად გაამართლებენ. საოლქო საარჩევნო კომისიებმა გაითვალისწინეს მშრომელთა სურვილი და დეპუტატობის კანდიდატებად გაატარეს რეგისტრაციაში მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის საუკეთესო წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, რომლებიც მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარჩევნო კრებებზე დასახელეს.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრაციაში გატარებულია 49.372 კაცი. 19.023 კანდიდატი მუშაა, 14 226 — კოლმეურნე. დეპუტატობის კანდიდატთა შორის 23.866 ქალია. სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატია 21.321 კაცი, მათგან 26.051 — უპარტიო, 9.785 — კომკავშირელი.

15.206 დეპუტატობის კანდიდატის ასაკი 30 წელს არ აღემატება. დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებული 49.372 კაციდან 28.017 არ ყოფილა წინა მოწვევის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატი.

დეპუტატობის კანდიდატთა შემადგენლობის მონაცემები მოწმობენ საბჭოთა საარჩევნო სისტემის ნამდვილად დემოკრატიულ ხასიათს, მშრომელთა ფართო მონაწილეობას სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში. (საქინფორმი).

## ამომრჩეველთა ზეპირი ჟურნალი

**ახალციხე.** (საკ. კორ.). მეცხრე წელია, რაც ორჯონიკიძის სახელობის კულტურის სახლში თვეში ერთხელ იკრიბებიან ქალაქის მშრომელები და ისმენენ ზეპირ ჟურნალს — „XX საუკუნე ოქტომბრის საუკუნეა“, რომელიც მეტად საინტერესო საკითხებს შეიცავს.

ამას წინათ წაკითხული ამ ჟურნალის ერთ-ერთი განყოფილება რუბრიკით „ლაპარაკობენ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები“ მიეძღვნა საკითხებს, თუ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებიდან არჩევნებამდე როგორ უმჯობესდება რაიონის მშრომელთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურება. ამაზე მსმენელებს ესაუბრნენ რაიონული საბჭოს დეპუტატები — ახალციხის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი ვ. ვარდოსანიძე და რაიონის მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშა ს. ქიშმიშიანი.

## „კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

### რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომი

**მოსახლეობის** საყოფაცხოვრებო შომსახურების სახლის შენიგნლობის ნაკლოვანებებს ეხებოდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი კრიტიკული წერილი „რაც აშენდა, ისიც ინგრევა“. ამის გამო პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი თ. გოკსაძე რედაქციას ატყობინებს:

„გაზეთში დაბეჭდილ წერილში „რაც აშენდა, ისიც ინგრევა“ მოყვანილი **ფაქტები დადასტურდა.** სოფელ ზემო მარხაანის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის შენებლობას აწარმოებს გურჯაანის № 1 სარემონტო სამშენებლო უბანი. ახლა მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა.

### რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო

**11 მარტს** ნომერში დაბეჭდილი წერილი „პური, კარადა, მიენი...“ შეიხებოდა ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტებს. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ვაჭრობის ორგანიზაციის სამმართველო ამასთან დაკავშირებით გვწერს:

**წერილში** მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ კომბინატ „საქნახშირის“ მუშათა მომარაგების სამმართველოს დაავალა დაქვემდებარებულ სავაჭრო ობიექტებში უზრუნველყოს ერთ ხელზე პურის გაცემის არსებული ნორმების მკაცრად დაცვა. მახვე დაეალა ქალაქ ტყიბულში გახსნას დიეტური პროდუქტების მაღაზია.

„ობილისმეურნეოვაჭრობის“ მე-16 მაღაზიის გამგის მოვალეობის შემსრულებელს შ. ნადარაიას მომხმარებლისათვის დაუკმაპლეკბელი ავეჯის მიყიდვისათვის დირექციის ბრძანებით გამოეცხადა საყვედური. ხოლო საცალო სავაჭრო ქსელის ხელმძღვანელებს მიეთითათ არ დაუშვან მომწოდებელთაგან დაუკომპლექტებელი ავეჯის მიღებისა და გასაღების არცერთი შემთხვევა. მომჩივანის სამართლიანი პრეტენზია დაკმაყოფილებულია.

## „კომუნისტის“ ინფორმაციიდან

### ბარიერი ინფორმაციისთვის

**ბაკურიანი.** „კომუნისტის“ ინფორმაციიდან ბ. ბ. ბაკურიანის ინფორმაციის ბიუროს ბ. ბ. ბაკურიანის ინფორმაციის ბიურო ბ. ბ. ბ.

# ხელოვნება, რომელიც ეროვნულ საგზდვრებს გასცდა

### დამთავრდა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი ქართული ხელოვნების საკითხებზე

მსოფლიოს თვალსაჩინო ხელოვნებათმცოდნეებს შეიდი დღის განმავლობაში დიდი და საინტერესო საკითხებსა ჰქონდათ ქართულ ხელოვნებაზე. სიმპოზიუმის „ოფიციალურ“ ენებზე — ინგლისურად, ფრანგულად, რუსულად, რამდენადმე უჩვეულო ტრანსკრიფციით გაისმოდა ყოველი ქართველისათვის ძვირფასი და მახლობელი სახელები: ჯვარი, სვეტიცხოველი, მცხეთა, სამთავრო, ვარძია, ყინწვისი, გელათი...

სიძველის ამ უტყვ მოწმეებთან, ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ძეგლებთან დაკავშირებულია არა მარტო ქართველი ხალხის ისტორიული ბედი, არამედ ეროვნული ხელოვნების ბრწყინვალე ფურცლებიც, რომლებიც მან მსოფლიო ხელოვნების სულიერ საგანძურს შემატა.

რას ფიქრობდნენ ჩვენი ძველი უცნობი ხუროთმოძღვარნი, ეს ტაძრები რომ ააგეს, რომლებიც დღესაც აოცებენ მნახველს თავიანთი ორიგინალობით და თავისთავადობით, რომ მათი დიდება საუკუნეებს გასცდებოდა და შთამომავალნი მადლიერებით მოიხსენიებდნენ. რას ფიქრობდნენ ჩვენი წინაპარნი, რომ ამენდობდნენ და ამასთანავე მზად იყვნენ ყოველ წამს აესხათ თოფ-იარაღი, რათა მოეგერიებინათ შემოსეული მტერი, რომ ასწლეულების შემდეგ საქართველოში მიიღებდნენ უაღრესად ჰუმანურ კანონებს, რომლებიც საიმედოდ დაიცავდნენ მათი ქმნილებების „სიბერეს“.

ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის 150 მონაწილემ — მათ შორის ინგლისის, ბელგიის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბერძნეთის, დასავლეთ ბერლინის, იტალიის, ნიდერლანდის, პოლონეთის, რუმინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იუგოსლავიის, ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკების ხელოვნებათმცოდნეებმა წაიკითხეს 120-ზე მეტი მოხსენება, რომლებმაც განსაზღვრეს ქართველი ერის გენიით საუკუნეთა მანძილზე შექმნილი ხელოვნების ადგილი მსოფლიო ხელოვნების სულიერ საგანძურში, დასახეს ხალხებისა და მათი ხელოვნების ისტორიულ ურთიერთობათა კავშირის კვლევის საქმეში მსოფლიოს მეცნიერთა შემდგომი ოსანაშრომლის გზები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯახსნილმა სიმპოზიუმმა მთელი რესპუბლიკა „მოიარა“, მისმა მონაწილეებმა დაათვალიერეს საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთის ძეგლები, იყვნენ შუამთაში, ალავერდში, სამთავისში, ატენში, ყინწვისში. ქართული ხელოვნების საკითხებისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის ოფიციალური დასრულება მოეწყო გელათის მონასტერში.

ამ მრავლისმმსწრე ტაძარს, რომელსაც ბევრჯერ უნახავს მტრის შემოსევა, ალბათ არასდროს ენახა ასეთი მრავალეროვნული „შემოსევა“, ამჯერად — მეგობრებისა. გელათის სტუმრები სხვადასხვა ენაზეც ლაპარაკობდნენ და ქართულადაც, და ადგილობრივ მცხოვრებთ, რომლებიც ქართული ხელოვნების დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად მოვიდნენ, უჭირდათ დაედგინათ სტუმრების ეროვნება — ბევრი მათგანი წმინდა ქართულს ლაპარაკობდა.

ამადლებებელი იყო კონცერტი, რომელიც მონასტრის თაღებქვეშ გაიმართა. გორელი გოგონების ანსამბლმა შეასრულა ძველქართული საგალობლები, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ზურაბ ანჯაფარიძემ და ქუთაისის ოპერის თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს სცენები ზაქარია ფალიაშვილის ოპერებიდან.

სიმპოზიუმის დახურვაზე გამოვიდნენ ხელოვნებათმცოდნეები: მოსკოველები ო. შვიდკოვსკი და ო. პოდობედოვა, იუგოსლავი დ. ბოშკოვიჩი, ბერძენი ვ. მილონასი, ბელგიელი ჟ. ბლანკოული, ფრანგი ტ. ველმანსი, ბულგარელი ვ. ბაკალოვა, იტალიელი ს. კალო, ლენინგრადელი ა. ბანკი, ინგლისელი დ. ლანგი, სომეხი ნ. არუთიანიანი. მათ თქვეს, რომ ასეთი შეხვედრები უაღრესად სასარგებლოა, ილაპარაკეს ქართული ხელოვნების შედევრებზე, რომელთა გაცნობამაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ერთობლივ გამოკვლევებზე, თქვეს, რომ ძალზე კმაყოფილი არიან საქართველოში გაწეული მასპინძლობით.

სიმპოზიუმზე გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ვ. ბერიძე, რომელმაც შეაჯამა სიმპოზიუმის მუშაობის შედეგები და მადლობა მოახსენა სიმპოზიუმის ყველა მონაწილეს. ვ. ბერიძემ გულთბილად მოიხსენია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი გ. ჩუბინაშვილი, რომლის შრომებმაც დასაბამი მისცეს მეცნიერებას ქართულ ხელოვნებაზე, ფართოდ რომ გასცდა შობლიურ საზღვრებს.

სიმპოზიუმის დახურვას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. რუხაძე.

(საქინფორმი).

## მეცნიერები მოსწავლეებთან

ახალინძა. (საკ. კორ.). რაიონის სამეცადინო სკოლების მოსწავლეებისა და ფართო საზოგადოებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ახალციხის ისტორიზიკურმა ობსერვატორიამ ასპინძის რაიონის „ლენინის“ სახლში მოაწყო ობსერვატორიასთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს გამსჯელი სამეცნიერო სესია თემაზე: „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საკითხები“.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორმა ე. ხარაძემ.

დამსწრეთა წინაშე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე მ. გიგოლაშვილი, ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე ი. ალანიძე, ობსერვატორიის სამეცნიერო მუშაობის დარგში ვ. ჯაფარიძელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ო. მეგრელიშვილი, ობსერვატორიის სამეცნიერო ფოტოგრაფიისა და ელექტროგრაფიის სექტორის ხელმძღვანელი დ. ჭიპაშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ც. ხეიფრიანი. სესიაზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე საქართველოს ალკ ასპინძის რაიკომის პირველი მდივანი ნ. მურადაშვილი.

შ. მაისურაძე.

## ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“ № 5

გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალის **„სკოლა და ცხოვრების“** მორიგი, მეხუთე ნომერი. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალები თითქმის მთლიანად ეძღვნება საქართველოს სსრ მასწავლებელთა ამას წინათ გამართული მეოთხე ყრილობის შედეგებს.

მასწავლებელთა მეოთხე ყრილობის პლენარული სხდომებისა და სექციური მუშაობის შესახებ მიმოხილვითი ხასიათის სარედაქციო წერილთან ერთად ჟურნალში დაბეჭდილია ყრილობის შედეგი ძირითადი დოკუმენტები: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება საქართველოს მასწავლებელთა მეოთხე ყრილობისადმი; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. **ე. ა. შევარდნაძის** სიტყვა საქართველოს მასწავლებელთა მეოთხე ყრილობაზე — „აუცილებელი პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე“; საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ამხ. **ო. დ. ქინქლაძის** მოხსენება — „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შემდგომი სრულყოფის ამოცანები სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“ და ყრილობის სხვა მასალები.

## საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი 125 წლისაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს 125 წელი შესრულდა. ის პირველი სამუზეუმო ორგანიზაცია, რომლის ბაზაზეც ჯერ კავკასიის და შემდგომ საქართველოს მუზეუმი აღმოცენდა, იყო 1852 წლის 10 (22) მაისს დაარსებული რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი. ამ მუზეუმმა ფინანსური და სხვა სიძნელეების გამო დიდხანს ვერ იარსება და მის ბაზაზე 1867 წლის 2(14) იანვარს შეიქმნა კავკასიის მუზეუმი, რომელსაც გადაეცა ადრე შეგროვებული მასალები.

გეოგრაფიული საზოგადოების და მეფედ კავკასიის მუზეუმი პირველი და კარგახანს ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულება იყო საქართველოსა და კავკასიაში. ამიტომ აქ თავი მოიყარა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერების მკვლევრთა ძირითადმა ბირთვმა და განიდა სამეცნიერო უჯრედები. ასე, მაგალითად, მუზეუმში თანდათან ჩამოყალიბდა ზოოლოგიის, გეოლოგიის, ბოტანიკის, ეთნოგრაფიისა და სხვა განყოფილებები.

კავკასიის მუზეუმზე მეცნიერულ ხელმძღვანელობას ახორციელებდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც იგი ოფიციალურად დაუქვემდებარდა კიდეც 1913 წლიდან.

მუზეუმის ცხოვრებაში ძირფესვიანი გარდატეხა ხდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ. იგი ამიერიდან, ახალდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტთან ერთად, ქართული ეროვნული მეცნიერების სამჭედლოდ იქცა. თითქმის ყველა გამოჩენილი მეცნიერი, ვარდა ზუტკ და ტექნიკურ მეცნიერებათა წარმომადგენლებისა, ან მუზეუმს თანამშრომელი იყო, ან მასთან მჭიდროდ დაკავშირებული. საქართველოს მუზეუმში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები — ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გ. წერეთელი; წევრ-კორესპონდენტი გრ. წერეთელი, ა. ზანიძე; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები — გ. ჩუბინაშვილი, ა. ჯანელიძე, ნ. ბერძენიშვილი, კ. კეკელიძე, შ. ამირანაშვილი, ა. თავლაჩრელიძე, ბ. კუფტინი, ი. კაჭარავა, ა. ბარამიძე, გ. ჩიტაია, ს. ყაუხჩიშვილი, ს. ჯიქია, წევრ-კორესპონდენტები — ი. აბულაძე, გ. ნიორაძე, ა. ალავიძე, მ. რჩეულიშვილი და სხვები

1947 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს ეწოდა სახელოვანი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელი, რომელიც სიცოცხლეში მჭიდროდ იყო დაკავშირებული მუზეუმთან და დიდი ამაგი მიეძღოდა განსაკუთრებით მისი სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის წარმართვაში.

მუზეუმის შემოქმედებითს ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობამ. იგი მუზეუმის საქმიანობაში ჩაება 20-იანი წლებიდან, 1931 წლიდან კი სიკვდილამდე მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტი და ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი იყო.

ძირითად კავკასიის მუზეუმში ჩაეყარა საფუძველი ისეთ მეცნიერულ დისციპლინებს, როგორიც არის კავკასიის ზოოლოგია, ბოტანიკა, გეოლოგია, პალეონტოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ნუმიზმატიკა, წყაროთმცოდნეობა და სხვ. ამიტომ იყო, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალსა და შემდგომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (რომლის სისტემაშიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ბევრი დიდიხნ მისი დაარსებისა, 1941 წლიდან) შესაბამისი ინსტიტუტები (ზოოლოგიისა, ბოტანიკისა, გეოლოგიისა, ისტორიისა) ძირითადად დაკომპლექტდა მუზეუმის წამყვანი მეცნიერებით. 1958 წელს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბდა ხელნაწერთა ინსტიტუტი, რომელიც დღეს კ. კეკელიძის სახელს ატარებს.

ათული წლების განმავლობაში მუზეუმში მუშაობდნენ და მუშაობენ მეცნიერული პრობლემატიკა, რომელიც სცილდება საუკუნეთა ფარგლებს და დიდი მეცნიერული მნიშვნელობისაა. ასეთი მაგალითებია ბევრი ვამოსაყოფია მუზეუმის პალეონტოლოგიის აღმოჩენები, ასევე საქართველოს მცენარეული საფარის განვითარების, საქართველოს და მიმდებარე რაიონების უდაბნოებისა და ნახევრადუდაბნოების ფაუნის შესწავლის შედეგები და სხვ.

ქართული საბჭოთა არქეოლოგიის წარმოშობა და განვითარება განუყოფლად არის დაკავშირებული მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებასთან, რომელსაც 1925 წელს ივ. ჯავახიშვილის რეკომენდაციით სათავეში ჩაუდგა ვლადიმერ გ. ნიორაძე. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა ქართველ არქეოლოგთა მთელი თაობა. მუზეუმის არქეოლოგებს დიდი ამაგი მიუძღვით არქეოლოგიურ კულტურათა გენეზისის, წარმოშობლობისა და ურთიერთმიმართების კვლევის საქმეში. აკადემიკოსმა ბ. კუფტინმა არქეოლოგიური მასალების გულდასმითი მეცნიერული ანალიზის შედეგად მოგვცა საქართველოს და ამიერკავკასიის ენეოლით-ბრონჯაოს ხანის ძეგლების პირველი მეცნიერული პერიოდიზაცია. მონოგრაფიის დიდი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა, და ბ. კუფტინს, პირველს საბჭოთა არქეოლოგთა შორის მიენიჭა სახელმწიფო პრემია. მუზეუმის არქეოლოგებმა ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს და დღესაც წარმატებით იკვლევენ ე. წ. ადრესამფოსფორო კულტურის ძეგლებს. აღინიშნული პრობლემა ჩართულია იმ საერთო საკავშირო სამეცნიერო მიმართულებაში, რის მიხედვითაც იკვლევენ შუა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის სათანადო ძეგლებს.

1936 წელს ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით დაიწყო საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქების არქეოლოგიური შესწავლა. დღემდე მუზეუმი ამ „ლეგენდ-ძიების ატ ტიური მონაწილეა. დმანისის, ურბნისის, გრემის, ნოქალაქევის, გაგაზის, კაზრეთის, არეშის და სხვა გათხრებმა ბევრი რამ ჭეშმარიტი საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიის.

ეპალეთიციური ეთნოგრაფიული საველე-ექსპედიციებით მუშაობა პირველად საქართველოში ფართოდ გაიშალა 1922 წლიდან, როდესაც მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში მოიყვანეს მაშინ ახალგაზრდა სპეციალისტები გ. ჩიტაია, ს. მაკალათია, ვ. ბერდაველიძე და სხვები. საფუძველი ეთნოგრაფიული კვლევისათვის ჩაეყარა ამავე მუზეუმში ადრეც არსებობდა. მას მყარი ნიადაგი შეექმნა მუზეუმში ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის რაფაელ ერისთავის მოღვაწეობამ (რ. ერისთავი მუზეუმში მოიწვიეს 1855 წელს). ასეთი მდიდარი ტრადიციების გამო მუზეუმი იყო და რჩება ეთნოგრაფიული მეცნიერული კადრების სამჭედლოდ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში ადიზარდა საბჭოთა ეთნოგრაფების მთელი თაობა, რომლის წარმომადგენლები წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საკუთრივ მუზეუმში, ისე სხვა შესაბამის დაწესებულებებში.

მუზეუმში ჩაეყარა საფუძველი ნუმიზმატიკას — როგორც მეცნიერულ დისციპლინას. ნუმიზმატიკის განყოფილებაში, სადაც 90 ათასამდე მონეტაა დაცული, აწყარტაცვლილია — დოკუმენტ. ლომოურისა და პროფესორ დ. კაკაბაძის ხელმძღვანელობით აღიზარდა ულეველი ყველა ქართველი ნუმიზმატი.

მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორია ერთადერთი სამეცნიერო უჯრედია საქართველოში, რომელიც ყმინდა კამერალური და სარესტავრაციო საქმიანობის გარდა ეწევა არქეოლოგიური და, საერთოდ, სამუზეუმო ექსპონატების ქიმიურ-ტექნოლოგიურ, მეტალოგრაფიულ და სხვ. შესწავლას. იგი ემსახურება რესპუბლიკაში მომუშავე ყველა არქეოლოგიურ ექსპედიციას. ლაბორატორიის თანამშრომლები მონაწილეობენ შუა საბამისი საბჭოთა და უცხოეთის სამეცნიერო ცენტრების თემატიკის ერთობლივ სამუშაოებში.

მუზეუმში შედარებით გვიან შეიქმნა საქართველოს ახალი და საბჭოთა პერიოდის ისტორიის განყოფილება. მიუხედავად ამისა, ამ სამეცნიერო უჯრედებში უკვე გაჩნდა მდიდარი სამუზეუმო ფონდები და მონოგრაფიულად დამუშავდა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი.

მუზეუმის სამეცნიერო საქმიანობის მაღალ დონეზე წარმართვას განსაკუთრებით უწყობს ხელს მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც ფუნქციონირებს დღიდან მუზეუმის დაარსებისა. დღეს მუზეუმის ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი 250 ათასს აღემატება, სადაც საკმაოდ მნიშვნელოვანი რარიტეტულ ფონდს შეადგენს იშვიათი ძველი გამოცემები. ყველაზე ადრეული ბეჭდური გამოცემები 1511-1527 წლებით არის დათარიღებული. XVII საუკუნისაა 157 წიგნი, XVIII საუკუნისა — 4818 ნაბეჭდი.

მუზეუმის მეტად საჭირო დამხმარე უჯრედია მისი ფოტოარქივი. აქ დაცულია საქართველოს და კავკასიის, ასევე მეზობელი ქვეყნების არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების, დასახლებული ადგილების, ლანდშაფტის, საუზეუმო ნივთების, ისტორიულ პირთა 80 ათასამდე ფოტოსურათი და ფირი. აღნიშნული არქივის მასალებიდან განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ 24 ათასამდე ფოტოსურათის ნეგატივი ერმაკოვის, კაჩუხაშვილის, რიინიშვილის და პანფილოვის 167 ალბომი.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი სამეცნიერო ცოდნის პროპაგანდის უმნიშვნელოვანესი კერაა. მისი ოვითეული ექსპოზიცია იყო თავისებური ეტაპი, რომელიც ასახავდა სათანადო სამეცნიერო დისციპლინის თანამედროვე დონესა და მიღწევებს და წარმოადგენდა ქართული საბჭოთა მეცნიერების უმთავრესი მიღწევების ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომ და გასაგებ პუბლიკაციას. ასეთი ეტაპური ვამოფენები იყო გ. ნიორაძის და ბ. კუფტინის მიერ 1934 წელს მოწყობილი ეროსპოზიცია — „წინაკოლონიზრული საზოგადოება ამირანგალასლაში“ (მხატვრები ი. ზარლეთანი, ვ. ტატარინი, დ. ციციშვილი); ს. ჯანაშიას და ბ. კუფტინის მიერ 1941 წელს მოწყობილი გამოფენა — „ქართული კულტურის კერები — თრიალეთი და მცხეთა“; ჯ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით განხორციელებული „ერთიანი ეთნოგრაფიული ექსპოზიცია“ (1954 წ.); „ზოოლოგიური ეროვნული“ (ხელმძღვანელი ი. ჩხეიძე), 1937 წელს ა. ჯანელიძის და კ. ბაბუნაიას ხელმძღვანელობით მოწყობილი გამოფენა „საქართველოს რესურსები“ და სხვა მრავალი.

დღეს მოქმედი საქართველოს არქეოლოგიური გამოფენა, ერთ-ერთი საუკეთესო ექსპოზიციაა ჩვენში, სადაც ახლებურად არის ბადაწყვეტილი საკამოფენო მასალის შერჩევისა და მხატვრულად გაფორმების ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი (ხელმძღვანელი — ისტორიის მოწყობილი ეროსპოზიციათ — „ნინოწმინდა“ (ხელმძღვანელი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი შ. ლომსაძე).

1967 წელს მუზეუმმა პირველად რესპუბლიკაში შექმნა საბჭოთა საქართველოს ისტორიის ამსახველი ექსპოზიცია (ხელმძღვანელი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. შეკლიძე), რომელიც ყოველწლიურად ივსება ახალ-ახალი მასალებით და დღესაც წარმატებით შეიმედებს.

მუზეუმს დღეს სამი ფილიალი აქვს — ხალხთა მეგობრობის მუზეუმი, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (დაბა მესტიაში) და სამცხე-ჯავახეთის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიული მუზეუმი (ქ. ახალციხეში).

ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ექსპოზიცია 1973 წელს შეიქმნა და მისი ძირითადი მიზანია შეკრიბოს, მეცნიერულად დაამუშაოს და ხალხს გააცნოს ის უმდიდრესი მასალები, რომლებიც ქართველი ხალხის მოძმე სხვა ხალხთა ეროვნულ ურთიერთობებზე მეტყველებენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე კავკასიის მუზეუმს 5-6 მეცნიერ თანამშრომელზე მეტი არასოდეს ყოფილა. დღეს მუზეუმის 13 განყოფილებაში, ორ ლაბორატორიასა და კაბინეტში მუშაობს 255 თანამშრომელი. მათ შორის 140 მეცნიერი მუშაობა, რომელთაგან 8 მეცნიერებათა დოქტორი და 70 კანდიდატია. მუზეუმს საკუთარი პერიოდული გამოცემა აქვს — „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“ ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო სერიებით. დღემდე გამოქვეყნებულია ორივე სერიის „მოამბის“ 53 ტომი. მარტო უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მუზეუმის თანამშრომლებმა ვამოაქვეყნეს 110 მონოგრაფია და შრომათა კრებული, დაცული 56 დისერტაცია (6 სადოქტორო და 50 საკანდიდატო), ყოველწლიურად ვეღარ გადის 30-მდე ექსპედიცია, მუზეუმის ფონდები ივსება 20-25 ათასი ექსპონატით, ყოველწლიურად მუზეუმს ათვალიერებს 170 ათასი კაცი. ექსპონატების საერთო რაოდენობა მილიონს აღწევს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკანასკნელი ექვსი ათეული წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი მძლავრ სამეცნიერო-საკვლევ, მეცნიერული ცოდნის პროპაგანდისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებად იქცა. თანამედროვეობა გაზრდილ მეცნიერულ, კულტურულ და ინტელექტუალურ მოთხოვნებს უყენებს მუზეუმს, რასაც მძლავრი, თანამედროვე პირობების შესაბამისი მატერიალური და ტექნიკური ბაზისი სჭირდება. საქართველოს ა ე ენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჯეროვანი ყურადღება მიაქცია მუზეუმის მდგომარეობას და დასახეს კონკრეტული გზები მისი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ეფექტიანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და მუზეუმისათვის საჭირო მშენებლობის განსახორციელებლად. კერძოდ, ამკამად უკვე მიმდინარეობს საპროექტო მასალების დამუშავება იმ ეკონომიკურ, ჰიგიენურ, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის შესაქმნელად, რომელიც მუზეუმისათვის საჭირო მშენებლობის განსახორციელებლად. კერძოდ, ამკამად უკვე მიმდინარეობს საპროექტო მასალების დამუშავება იმ ეკონომიკურ, ჰიგიენურ, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის შესაქმნელად, რომელიც ქართველი ხალხის მოძმე ხალხთა ეროვნულ ურთიერთობებზე მეტყველებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ერის განძი

ტაა დაცული, აწყარტაცვლილია — დოკუმენტ. ლომოურისა და პროფესორ დ. კაკაბაძის ხელმძღვანელობით აღიზარდა ულეველი ყველა ქართველი ნუმიზმატი.

მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორია ერთადერთი სამეცნიერო უჯრედია საქართველოში, რომელიც ყმინდა კამერალური და სარესტავრაციო საქმიანობის გარდა ეწევა არქეოლოგიური და, საერთოდ, სამუზეუმო ექსპონატების ქიმიურ-ტექნოლოგიურ, მეტალოგრაფიულ და სხვ. შესწავლას. იგი ემსახურება რესპუბლიკაში მომუშავე ყველა არქეოლოგიურ ექსპედიციას. ლაბორატორიის თანამშრომლები მონაწილეობენ შუა საბამისი საბჭოთა და უცხოეთის სამეცნიერო ცენტრების თემატიკის ერთობლივ სამუშაოებში.

მუზეუმში შედარებით გვიან შეიქმნა საქართველოს ახალი და საბჭოთა პერიოდის ისტორიის განყოფილება. მიუხედავად ამისა, ამ სამეცნიერო უჯრედებში უკვე გაჩნდა მდიდარი სამუზეუმო ფონდები და მონოგრაფიულად დამუშავდა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი.

მუზეუმის სამეცნიერო საქმიანობის მაღალ დონეზე წარმართვას განსაკუთრებით უწყობს ხელს მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც ფუნქციონირებს დღიდან მუზეუმის დაარსებისა. დღეს მუზეუმის ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი 250 ათასს აღემატება, სადაც საკმაოდ მნიშვნელოვანი რარიტეტულ ფონდს შეადგენს იშვიათი ძველი გამოცემები. ყველაზე ადრეული ბეჭდური გამოცემები 1511-1527 წლებით არის დათარიღებული. XVII საუკუნისაა 157 წიგნი, XVIII საუკუნისა — 4818 ნაბეჭდი.

მუზეუმის მეტად საჭირო დამხმარე უჯრედია მისი ფოტოარქივი. აქ დაცულია საქართველოს და კავკასიის, ასევე მეზობელი ქვეყნების არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების, დასახლებული ადგილების, ლანდშაფტის, საუზეუმო ნივთების, ისტორიულ პირთა 80 ათასამდე ფოტოსურათი და ფირი. აღნიშნული არქივის მასალებიდან განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ 24 ათასამდე ფოტოსურათის ნეგატივი ერმაკოვის, კაჩუხაშვილის, რიინიშვილის და პანფილოვის 167 ალბომი.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი სამეცნიერო ცოდნის პროპაგანდის უმნიშვნელოვანესი კერაა. მისი ოვითეული ექსპოზიცია იყო თავისებური ეტაპი, რომელიც ასახავდა სათანადო სამეცნიერო დისციპლინის თანამედროვე დონესა და მიღწევებს

**სურათებზე:** ზემოთ — ოქროს სასმისი ალბეკეკეთიდან და ბრონზისტაციული (ძვ. წ. ა. II ათასწლეული, ორიალეთი); ქვემოთ — არქეოლოგიური გათხრები მეოთხე ლარბაზი — ადრე ბრონზაოს ხანის ნასოფლარი ქვაცხელები.

**პროფ. ლ. ჰილაშვილი,**
საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.

## გავშვები ჩვენი მოგაკვალია

### ქალაქ თბილისის საზოგადოებრიობის კრება

**ყოველფლიურად** 1 ივნისს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აღინიშნება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე — ჩვენი ბლანტის მომავლის ზეიმი, საცოცხლისა და სიხარულის ზეიმი. საზეიმოდ აღნიშნეს ეს დღე თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. მას მიეძღვნა საერთო-საქალაქო კრება, რომელიც გაიმართა 31 მაისს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ყვანნიმ.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ზეიმი გაგრძელდა ქალაქის პარკებში, კულტურის სასლებში, კლუბებში, სკოლებში. ვაიმართა საზეიმო შეხვედრები, სპორტული ასპარეზობა, გამოვიდნენ მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

ამ თარიღისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა საქართველოს ფილარმონიის დიდ სკოლ-ცერტო დარბაზში, რომელშიც მონაწილეობდა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი — ლენინური კომკავშირის ლაურეატი „ცისარტყელა“. (საქინფორმი).

## ჩეხოსლოვაკიის გამოფენა თბილისში

**საქართველოს** სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოეწყო ჩეხოსლოვაკიის საწარმოების მიერ გამოშვებული ბინების, სასტუმროების, რესტორანების, სასადილოების, დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ხისა და ლითონის ავეჯის 38 კომპლექტის ექსპოზიცია. გამოფენა მოაწყვეს სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო წარმომადგენლობამ და ჩეხოსლოვაკიის საგარეო-საგაჭრო გაერთიანებებმა „დრევეოინიამ“ და „ლიგნამ“ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საგაჭრო სამრეწველო პალატების ხელშეწყობით.

— ავეჯის მრეწველობა ჩეხოსლოვაკიის ინდუსტრიის ტრადიციული დარგია. მისი ნაწარმი იგზავნება 70 ქვეყანაში. მეცელი პროდუქციის 60 პროცენტი საბჭოთა კავშირში შემოდის. წარმოდგენილ ექსპონატებს შორის არის ახალი მოდელები, რომელთა გაყიდვა საბჭოთა კავშირში სურთ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საწარმოებს, — განაცხადა პრესკონფერენციაზე გამოფენის დირექტორმა პ. ლეშაკამ.

ჩვენ ვიცდილობთ გავაფართოოთ ავეჯის ასორტიმენტი, ოპერატიულად გამოვეხმაუროთ შემკვეთთა ყველა სურვილს, — თქვა ალექსანდრ ბოიუტაკმა, ფაბრიკა „ფალიაშვილის“ ავეჯის ფაბრიკის ოსტატი.

ფაბრიკაში ერთი ცალი კვერცხის წარმოებაზე 0,18 კილოგრამი საკვები ერთეული დახარჯეს, ხოლო კილოგრამ, ფრინველის ხორცის წარმოებაზე — 7,8 კილოგრამი საკვები ერთეული. ერთი ცალი კვერცხის თვითღირებულება 5,6 კაპიკია, კილოგრამი ფრინველის ხორცისა კი — 2,28 მანეთი (ფაბრიკა აწარმოებს სამრეწველო კვერცხს, ხორცი კი მხოლოდ გამოწუნებული ფრინველის ხარჯზეა მიღებული).

ქ. კორენოვსკის მეხორცული ფრინველის საჯიშე-სანაშენე საბჭოთა მეურნეობა „წინათ კომპლექსური სახის საბჭოთა მეურნეობა იყო. ჭონდათ ქათმის, იხვის და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმები. 1973 წლიდან კი გ

# სპორტი

## ჩაკდრაკი

### დაწინაურდა ლემაჩკო

**სოფიაში** გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური ბატიის მეცხრე პარტია ახმილოვაკიას (სსრ კავშირი) და ლემაჩკოს (აულგარეთი) შორის. 44-ე სვლაზე გაიმართა ლემაჩკომ და დაწინაურდა — 5:4. დღეს გაიმართება რიგგლამენტით შატჩის ბოლო, მე-10 პარტია.

## კალათბურთი

### მეოთხე გამარჯვება

**საბჭოთა** ნაკრებმა მეოთხე გამარჯვება მოიპოვა საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში. 1 ივნისს მოსკოვში მან ანგარიშით 107:65 (44:29) დაამარცხა კანადის გუნდი. საინტერესოა, რომ ამ ორი წლის წინათ თასის პირველ გათამაშებაში ერთადერთი წაგება ჩვენს კალათბურთელებს სწორედ კანადელებთან ჰქონდათ.

დღეს საბჭოთა კალათბურთელები ოტავის გაღმა გამგზავრების წინ უკანასკნელ მატჩს გამართავენ საკუთარ მოედანზე. ისინი ოლიმპიურ ჩემპიონებს ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს შეხვდებიან.

## მოკლედ

**ბადრაკი.** ლვოველმა დიდოსტატმა ოლეგ რომანიშინმა სიენფუეგში ჯაბალანას ტრადიციულ შემორიალზე ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა, აჯერად ორი ლუბენსკისთან (ჩეხოსლოვაკია) და ლიდერს — ოსტატ ოსუფ დორფშანს ერთი ქულით ჩამორჩება. სათამაშო დარჩა კიდევ ექვსი ტური.

**ხუთშიდი.** ლვოვში დამთავრდა ევროპის თასის გათამაშება საკლუბო გუნდებს შორის. საბჭოთა არმიელთა გუნდმა გაიმეორა 1975 წლის წარმატება და კვლავ მოიპოვა ეს საპატიო პრიზი. ეი გამარჯვებულთა ოთხეული — მოსკოველები პ. გორელოვი და ვ. შმელოვი, ლვოველები პ. ლიდნოვი და ლ. ივანოვი. მეორე ადგილზეა უნგრეთის „ჰონვედი", მესამეზე — პოლონეთის „ლეგია". ბირად ჩათვლაში გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა პოლონელმა იანუშ პიციაკმა (5252 ქულა). აღსანიშნავია, რომ ასპარეზობაში კონკურსს გარეშე მონაწილეობდა ფრუნზელი იუნიორი ალექსანდრე ტარეევი, რომელმაც აბსოლუტურად უკეთესი შედეგი უჩვენა — 5872 ქულა. ევროპის თასის მომავალი გათამაშება გაიმართება გიისად ჩეხოსლოვაკიაში ან რუმინეთში.

## ამინდი

გუშინ 13 საათზე უმეტეს რაიონებში წვიმდა. დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 15-20, მთებში 11-15 გრადუსი აღინიშნა.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 14-18, მთებში 10-12 გრადუსი იყო.

გუშინ 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 16 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოს მიდა რაიონებში მოსალოდნელია წვიმა, ხუსტი ქარი, დაბლობ რაიონებში 17-22, მთებში 9-14 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი, მტკვრის ხეობაში იქრილებს დასავლეთის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 19-24, მთებში 10-15 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 22-24 გრადუსი.

# მოდის „ოლიმპიადა-80"

### საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიის წინ

**პრაღა,** 2 ივნისი. (საკუთარი კორ.). ორი კვირის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქში იწყება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 79-ე სესია. მისი დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდება 1980 წლის მოსკოვისა და ლეიკეპლესიდის ოლიმპიურ ასპარეზობათა საორგანიზაციო კომიტეტების წარმომადგენელთა მოხსენებანი.

— მომავალი სესია, რომლისათვისაც ჯერ ჯეელფერი მზად არის პროგრამა, — თქვა საკუთარ კორესპონდენტთან საუბარში ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიური კომიტეტის მდივანმა ვაცლავ გუბიჩკამ, — ალბათ დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იქნება მსოფლიო სპორტულ ცხოვრებაში. იქ გადაწყდება ოლიმპიური მოძრაობისა და ოლიმპიური ასპარეზობის მომავალთან დაკავშირებული დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

სესია საზეიმოდ გაიხსნება პრაღის კარლოსის უნივერსიტეტში 15 ივნისს, მაგრამ მისი საქმიანი ნაწილი უფრო ადრე დაიწყება. 11-13 ივნისს აქ გაიმართება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ცალკეული კომისიების სხდომები. 13 და 14 ივნისს შეიკრიბება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი მისი პრეზიდენტის — ლორდ კილანინის ხელმძღვანელობით.

პრაღაში ჩამოვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 76 წევრი და ამ საერთაშორისო ორგანიზაციასთან აკრედიტებული 150-მდე ჟურნალისტი. ჟურნალისტები ყოველდღიურ პრეს-კონფერენციებზე მიიღებენ ინფორმაციას სესიის მომდინარეობის შესახებ, რომლის სხდომები გაიმართება პრაღის საუკეთესო სასტუმროს „ინტერკონტინენტალის" კონცერესების დარბაზში.

პრაღის საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის სახლში გაიხსნება გამოფენა ოლიმპიური მოსკოვის შესახებ. პრაღის სესიის მნიშვნელობა, თქვა ვ. გუბიჩკამ, ის არის, რომ იგი მიმდინარეობს მოსკოვის საზაფხულო ოლიმპიური ასპარეზობის — სოციალისტური ქვეყნაში პირველი ოლიმპიადის ინტენსიური სამზადისის პერიოდში.

# ფეხბურთის ამბები

**სოფია.** ბულგარეთის ნაკრებმა მსოფლიოს პირველობის შესარჩევი მატჩი (მეხუთე ჯგუფი) მოუგო ირლანდიის გუნდს — 2:1. ანგარიში გახსნა პანოვმა, მაგრამ ჰიენსმა გაათანაბრა იგი. ბულგარელმა ყელიაზკოვმა მხოლოდ თამაშის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე შეძლო გამარჯვების გოლის გატანა. ბულგარელებს ახლა ორი თამაშიდან სამი ქულა აქვთ, ამდენივე — ფრანგებს, ოღონდ სამი თამაშის შემდეგ, ირლანდიელებს — 2.

**ოსტრავა.** ფრედ — 0:0 დამთავრდა ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის ამხანაგური მატჩი.

**გლაზგო.** ნაკრებებს შორის დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატში შოტლანდიის გუნდმა თავის მოედანზე დაამარცხა ჩრდილოეთ ირლანდიელები — 3:0 (1:0) ორი ბურთი გაიტანა დალგლიშმა, ერთი — მაკკუოხმა. 2 ტურის შემდეგ შოტლანდიელებსა და უელსელებს სამ-სამი ქულა აქვთ, ინგლისს — 2, ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდმა ორიეი შეხვედრა წააგო.

**ოსლო.** ქვეყნის ნაკრები საკუთარ მოედანზე დამარცხდა დანიის გუნდთან — 0:2. ბურთები გაიტანეს ენსენმა და სორენსენმა.

□

## „სპორტლოტო"

**გაცნობებთ** 1 ივნისს გამართული „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის 22-ე ტირაჟის შედეგებს.

**„სპორტლოტო":** 1 (ავიასპორტი), 6 (კალათბურთი), 14 (ფრენბურთი), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 10 (ბუერი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი).

**„სპორტლოტო-2":** 9 (ჭიდაობა), 42 (ძალოსნობა), 16 (ტანვარჯიში), 39 (სამბო), 5 (ბადმინტონი), 45 (ფეხბურთი). (საკუთარი).

# მოგებათა ტირაჟის წინ

**30 ივნისს** სოხუმში ეწყობა 1966 წლის სახელმწიფო 3 პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მორიგი 88-ე ტირაჟი.

მოსახლეობაში დიდად პოპულარულია სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები. ყოველწლიურად იმართება 8 მოგებათა ტირაჟი. მოგება დაწესებულია 40-დან 5.000 მანეთამდე ოდენობით. სესხის ობლიგაციების წარმატებით გაყიდვასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ მომოქცევაში გამოუშვა სესხის 64 მორიგი თანრიგის ობლიგაციები. ყოველი თანრიგი 100 მილიონი მანეთისა გამოდის. ამრიგად, მიმოქცევაში უკვე არის 6 მილიარდ 400 მილიონი მანეთის ამ სესხის ობლიგაციები.

სესხის 20 წლის ვადის განმავლობაში იგების ყველა ობლიგაციის 30 პროცენტი. 100 მილიონი მანეთის სესხის ყოველი თანრიგის მოგებათა ტირაჟებში გათამაშდება 9.400 მოგება, აქედან ორი მოგება — 5.000-5.000 მანეთი, 5 მოგება—2500_2500 მანეთი, 200 მოგება — 1000-1000 მანეთი, 109 მოგება — 500-500 მანეთი, 750 მოგება — 100-100 მანეთი და 8514 მოგება — 40-40 მანეთი.

სესხის ობლიგაციებით მოგების შესაძლებლობა ყოველ ტირაჟზე იზრდება, რადგან ტირაჟებში გათამაშებულ მოგებათა რაოდენობა უცვლელი რჩება სესხის ვადის ბოლომდე, მოგებული ობლიგაციები კი დაიფარება მოგებათა გაკეთების დროს და შემდგომ ტირაჟებში არ მონაწილეობს.

1977 წლის დამლევამდე გაიმართება მოგებათა ტირაჟები: 15 აგვისტოს — ჩიმკენტში, 30 სექტემბერს — კიევში, 15 ნოემბერს — მაჰაჩყალაში და 30 დეკემბერს — მოსკოვში.

**ა. შტეინბერგი,**
საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ფულის მიმოქცევისა და კრედიტის განყოფილების უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი.

(საქინფორმი).


რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.




# საქართველოს ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი

### აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1977-78 სასწავლო წლისათვის საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტებსა და შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

### 1. სწავლება წარმოებისაგან მოწყვეტით

**სამშენებლო ფაკულტეტი** (ლენინის ქ. 64, I კორპუსი, V სართული, ოთახი 318 ოთახი).

1. საავტომობილო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული სექტორი); 2. საავტომობილო გზები (ქართული სექტორი); 3. ხიდები და გვირაბები (ქართული და რუსული სექტორები); 4. ოკინგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაცია (ქართული და რუსული სექტორები); 5. ოკინგზის ტრანსპორტის ელექტროსამომარაგება და ავტომატიკა (ქართული სექტორი).

**ეკონომიკური ფაკულტეტი** (ლენინის ქ. 10, III კორპუსი, I სართული, 140 ოთახი).

1. ელექტრული სადგურები (ქართული სექტორი); 2. ელექტრული სისტემები (ქართული და რუსული სექტორები); 3. საავტომობილო ადგილმოძრაობა (ქართული და რუსული სექტორები); 4. თბოელექტროსადგურები (ქართული სექტორი); 5. სამრეწველო თბოენერგეტიკა (ქართული სექტორი); 6. ელექტროათვნ და. სამრეწველო დანადგართა ავტომატიზაცია (ქართული სექტორი).

**სამეთო ფაკულტეტი** (ლენინის ქ. 75, III კორპუსი, I სართული, 124 ოთახი).

1. სამარკეტინგო საქმე; 2. მარგი წაიღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური ექსპლუატაცია. 3. მარგი წაიღისეულის გამდიდრება; 4. მიწისქვეშა ნაგებობათა და შახტების ძიებელობა; 5. სამთო ალიბენები და კომპლექსები; 6. სამთო საქმეთა ელექტროფიკაცია და ავტომატიზაცია (ქართული სექტორები).

**ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი** (ლენინის ქ. 69, II კორპუსი, II სართული, 202 ოთახი).

1. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 2. ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია (რუსული სექტორი); 3. ძვირფასი ლითონების ქიმიური ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 4. ძირითადი ორგანული და ნავთობქიმიური სინთეზის ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 5. ქიმიმეტალურგიული ცეცხლგამძლე ფასალების ქიმიური ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 6. ფიზიკა და სიტალების ქიმიური ტექნოლოგია (ქართული სექტორი).

**კავშირგაბმულობის ფაკულტეტი** (ლენინის ქ. 75, III კორპუსი, III სართული, 343 ოთახი).

1. ავტომატური ელექტრომაკავშირგაბმულობა (ქართული და რუსული სექტორები), 2. მრავალარხიანი ელექტრომაკავშირგაბმულობა (ქართული და რუსული სექტორები). 3. რადიომაკავშირგაბმულობა და რადიომაუწყებლობა (ქართული სექტორი); 4. რადიოტექნიკა (ქართული და რუსული სექტორები).

**ავტომექანიკური ფაკულტეტი** (ლენინის ქ. 64, I კორპუსი, V სართული, 533 ოთახი).

1. ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა (ქართული სექტორი) 2. სამშენებლო მასალები, ნაკეთობები და კონსტრუქციები; საწარმოთა მექანიკური მოწყობილობა (ქართული და რუსული სექტორები).

**ელექტრომექანიკის და ელექტრონიკის ფაკულტეტი** (ლენინის ქ. 75 III კორპუსი, II სართული, ოთახი 260).

1. ელექტრული მანქანები (ქართული და რუსული სექტორები); 2. ელექტროსაიზოლაციო და საკაბელო ტექნიკა (ქართული და რუსული სექტორები); 3. სამრეწველო ელექტრონიკა (ქართული და რუსული სექტორები); 4. ელექტრული აპარატები (ქართული სექტორი).

### 2. სწავლება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ:

**ა) საღამოს სწავლება**

**საღამოს სწავლების თბილისის სამშენებლო მექანიკური ფაკულტეტი** (ლენინის ქ. 64, I კორპუსი, IV სართული, 431 ოთახი).

1. საძრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. 2. მანქანათმშენებლობა ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ხარხები და იარაღები. 3. საავტომობილო გზები; 4. თბოაირმომარაგება და გენტილაცია; 5. წყალმომარაგება და კანალიზაცია; 6. ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა (ქართული სექტორები). 7. ხიდები და გვირაბები (რუსული სექტორი).

**საღამოს სწავლების თბილისის ქიმიურ-ეკონომიკური ფაკულტეტი** (ლენინის ქ. 69, II კორპუსი, II სართული, 218 ოთახი).

1. სამრეწველო საწარმოთა ელექტრომომარაგება. 2. ელექტროსული დანადგარები (ქართული და რუსული სექტორები); 3. სამრეწველო ელექტრონიკა; 4 სინფორმაციო მანქანები; 5. ავტომატიკა და ტელემექანიკა; 6. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია (ქართული სექტორები).

**რუსთავის საღამოს სწავლების ფაკულტეტი** (რუსთავი, ოქტომბერი 16).

1. შავი ლითონების მეტალურგია; 2. ლითონების ფხვნილთა დამუშავება; 3. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია; 4. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 5. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ხარხები და იარაღები; 6. მართვის ავტომატიზებული სისტემები. (ქართული სექტორები); 7. შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება (რუსული სექტორი).

**გორის საღამოს სწავლების ფაკულტეტი** (გორი, საბჭოს, 37).

1. საძრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 2. ხიდები და გვირაბები; 3. მართვის ავტომატიზებული სისტემები (ქართული სექტორები).

**ბათუმის საღამოს სწავლების ფაკულტეტი** (ბათუმი, გორკის 96.).

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ხარხები და იარაღები; 2. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 3. ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა (ქართული სექტორები).

**თელავის საღამოს სწავლების ფაკულტეტი** (თელავი, ყრილის ქ. 22).

1. საავტომობილო გზები (ქართული სექტორი).

**ფოთის საღამოს სწავლების ფაკულტეტი** (ფოთი, მახარაძის ქ. 11).

1. წყალმომარაგება და კანალიზაცია; (ქართული სექტორი).

**ჭიათურის საღამოს სწავლების ფაკულტეტი** (ჭიათურა, კოჩკავშირის ქ. 1).

1. მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური ექსპლუატაცია; 2. მიწისქვეშა ნაგებობათა და შახტების მშენებლობა; 3. სამთო სამუშაოთა ელექტროფიკაცია და ავტომატიზაცია (ქართული სექტორები).

**ჭიათურის საღამოს სწავლების ფაკულტეტთან არსებული ტყიბულის განყოფილება** (ტყიბული, გურამიშვილის ქ. 7).

1. მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური ექსპლუატაცია. 2. მიწისქვეშა ნაგებობებისა და შახტების მშენებლობა (ქართული სექტორები).

**ქარხნებთან არსებული საღამოს სწავლების ფაკულტეტი**

**ა) თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანასთან** (თბილისი, ავჭალის გზატკეცილი, 74).

1. ელექტრული მანქანები; 2. სამრეწველო საწარმოთა, ქალაქებისა და სოფლის მეურნეობის ელექტრომომარაგება; 3. ლითონხმოკლეობა, ლითონთა თერმული დამუშავების მოწყობილობა და ტექნოლოგია. (ქართული სექტორები).

**ბ) თბილისის საავიაციო ქარხანასთან** (თბილისი, ბ. ხმელნიცკის, 171).

1. თვითმფრინავმშენებლობა; 2. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ხარხები და იარაღები; 3. ელექტრული მანქანები. (ქართული სექტორები); 4. ავტომატიკა და ტელემექანიკა (რუსული სექტორი).

**გ) დაუსწრებელი სწავლება**

**(სწავლება ყველა ჩამოთვლილ სპეციალობაზე იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე)**

**დაუსწრებელი სწავლების სამშენებლო-სატრანსპორტო ფაკულტეტი** (ლენინის ქ. 64, I კორპუსი, II სართული, 226 ოთახი).

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 2. რკინიგზის მშენებლობა, გზა და საგზაო მეურნეობა; 3. სამდინარო ნაგებობათა და ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური ძიებებლობა.

**დაუსწრებელი სწავლების მექანიკა-სამთო-ეტალურგიული ფაკულტეტი** (თბილისი, ლენინის ქ. 64, I კორპუსი, II სართული, 210 ოთახი).

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ხარხები და იარაღები; 2. ძირითადი ორგანული და ნავთობქიმიური სინთეზის ტექნოლოგია.

**სოხუმის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი** (სოხუმი, ჯანბას 1 ფეხ. 13).

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. 2. სამდინარო ნაგებობათა და ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური ძიებებლობა.

**საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი** მიიღებს ყველი იგივეა, რაც სსრ კავშირის ყველა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისათვის. დღის განყოფილებაზე შემსვლელნი გამოცდებს ჰაბარებენ **შემდეგ საგნებში:**

**არქიტექტურის ფაკულტეტზე შემსვლელნი:** მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), ძალიმატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი).

**ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიულ ფაკულტეტებზე:** მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), ქიმია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი) ფიზიკა (წერა).

**ყველა დანარჩენ ფაკულტეტზე** — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (წერა).

საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე მიმსვლელნი გამოცდებს ჰაბარებენ იმავე საგნებში, რაშიაც დღის განყოფილების სათანადო სპეციალობაზე.

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ან საშუალო სპეციალურ და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომელთაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, გამოცდას შესაბამისი სპეციალობისათვის დადგენილ მხოლოდ ერთ-ერთ საგანში ჰაბარებენ: არქიტექტურის ფაკულტეტზე — ხატვაში, საინჟინრო-ფიზიკურ ფაკულტეტზე — ფიზიკაში (ზეპირი), ქიმიურიო ტექნოლოგიის ფაკულტეტზე — ქიმიაში (ზეპირი), ყველა დანარჩენ ფაკულტეტებზე და სპეციალობებზე — მათემატიკაში (ზეპირი). გამოცდის „ხუთზე" ჩაბარებასას ისინი თავისუფლდებიან მისაღები გამოცდების შემდგომი ჩაბარებისაგან, ხოლო „ოთხის" ან „სამის" მიღებისას ჰაბარებენ გამოცდებს სხვა ყველა შესაბამის საგანში.

**შენიშვნა:** მიმდინარე წელს, ის ბიტურიენტები, რომელთაც საშუალო სკოლის ატესტატში, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დიპლომებში არა აქვთ ნიშანი „სამი" და დოკუმენტის საშუალო ქულა დამრგვალების გარეშე არის 4,5 და მეტი, პირველი ორი გამოცდის შედეგად 9 ქულის მოგროვების შემთხვევაში, შემდეგი გამოცდების ჩაბარების გარეშე, ჩაირიცხებიან ინსტიტუტში. ეს ეხება აგრეთვე იმ ბიდლოსნებს და წარჩინების დიპლომის მქონე ბიტურიენტებსაც, რომელთაც პირველ გამოცდაზე მიიღეს შეფასება „ოთხი" ხოლო მეორეზე კი „ხუთი".

ჩარიცხვის ეს წესი განხორციელდება მხოლოდ იმ სპეციალობებზე, სადაც ასეთი კატეგორიის ბიტურიენტების რაოდენობა არ ჯადაჯარებს საკონკურსო ადგილების რიცხვს.

**უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებს შემოაქვთ შემდეგი საბუთები:**

1. განცხადება (ბლანკი დადგენილი ფორმით, გაიცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატებში); 2. საძუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); 3. დახასიათება, გაცემული სამუშაო ადგილიდან პარტეული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელობის მიერ, კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ, ხოლო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის კურსდამთავრებულთათვის — სკოლის ხელმძღვანელობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. ამ პირებს, რომელთაც არა აქვთ პრაქტიკული შუმაობის ორი წლის სტაჟი, შეუძლიათ წარმოადგინონ დახასიათება, გაცემული იმ სკოლებისა და სხვა სასწავლებლების მიერ, სადაც ისინი სწავლობდნენ. 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286). 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ პრაქტიკული შუმაობის სტაჟი), დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერით, ბეჭდით. 6. ხუთი ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომა 3X4, დაუმოწმებელი).

ინსტიტუტში გამოცხადებისას შემსვლელმა პირადად უნდა წარმოადგინოს პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა.

**საბუთების მიღება დღის განყოფილებაზე იწარმოებს 1977 წლის 20 ივნისიდან 31 ივლისამდე, ხოლო საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე — 1977 წლის 20 ივნისიდან 9 აგვისტომდე, ყოველდღიურად (გარდა კვირა დღისა) 9-დან 16 საათამდე.**

**დაუსწრებელი სწავლების სამშენებლო-სატრანსპორტო და მექანიკა-სამთო-მეტალურგიულ ფაკულტეტებზე შემსვლელთაგან საბუთები ძიღება მისამართით: ქ. თბილისი, ლენინის ქ. 64, I კორპუსი II სართული, ოთახი 226.**

**ქარხნებთან არსებული საღამოს სწავლების ფაკულტეტებზე შემსვლელთაგან საბუთები მიიღება მისამართით: ქ. თბილისი, ლენინის ქ. 64, I კორპუსი IV სართული, ოთახი 431.**

**ყველა დანარჩენ ფაკულტეტებზე შემსვლელთაგან — შეაბამის ფაკულტეტებზე განცხადებაში მითითებული მისამართებს მიხედვით.**

საღამოს სწავლების განყოფილების მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგიისა და კომპლექსური მექანიზაციის, მიწისქვეშა ნაგებობათა და შახტების მშენებლობის, სამთო სამუშაოთა ელექტროფიკაციის და ავტომატიზაციის, არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის, თვითმფრინავმშენებლობის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის, ჭლექტრონული გამომთვლელი მანქანების, მართვის ავტომატიზებული სისტემების, სინფორმაციო საზომი ტექნიკის, ელექტრული მანქანების, სამრეწველო ელექტრონიკის და დაუსწრებელი სწავლების განყოფილების ძირითადი ორგანული და ნავთობქიმიური სინთეზის სპეციალობებზე საბუთები მიიღება იმ პირთაგან, რომელთაც დაამთავრებული აქვთ შესაბამისი პროფილის საშუალო სპეციალური სასწავლებელი ან შუამაგენ სპეციალობებში.

**მისაღები გამოცდები ჩატარდება ქ. თბილისში: ა) ყარიბოებისაგან მოწყვეტით სწავლების ფორმაზე შემსვლელთათვის 1977 წლის 1-დან 20 აგვისტომდე; (ჩარიცხვა 21-დან 25 აგვისტომდე); ბ) საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელთათვის 11-დან 25 აგვისტომდე (ჩარიცხვა 26-დან 29 აგვისტომდე);**

**წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლების ფორმაზე ჩარიცხულნი საცხოვრებლით არიან რეგისტრაციაში გატარდნენ 1977 წლის 30 აგვისტომდე, ხოლო საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე ჩარიცხულნი 1977 წლის 10 სექტემბრამდე.**

რეგისტრაცია იწარმოებს შესაბამისი ფაკულტეტებთა დეკანატებში.

**მისაღები გამოცდები ჩატარდება ამ პროგრამებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამის შესაბამისად.**

**არჩეული სპეციალობისადმი მიდრეკილების გამოსავლინებლად ყველა შემსვლელთან ჩატარდება გასაუბრება.**

**კონკურსი გაიმართება სპეციალობების მიხედვით.**

**სწავლება დღის და საღამოს განყოფილებებზე იწყება 1 სექტემბერს, ხოლო დაუსწრებელ განყოფილებაზე —1 ოქტომბერს.**

**ინსტიტუტში ჩარიცხულნი საერთო საცხოვრებლით არ იქნებიან უზრუნველყოფილნი.**

**დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სათანადო ფაკულტეტებზე და ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში (ლენინის ქ. 77).**

**რექტორატი.**



# თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

### აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1977-78 სასწავლო წლისათვის წარმოებისაგან მოწყვეტით (დღის დასწრებული) სწავლებაზე სამკურნალო (ქართული და რუსული სექტორებით), პედიატრიულ, სანიტარულ-ჰიგიენურ, სტომატოლოგიურ და ფარმაცევტულ ფაკულტეტებზე (ქართული სექტორები).

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის ორიოდე სქესის მოქალაქენი 35 წლამდე ასაკისა, რომელსაც მიღებული აქვთ საშუალო განათლება და წარმოადგენენ დადებით დახასიათებას ინსტიტუტში შესასვლელად.

საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის სავალდებულოა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პროფილით მუშაობის 3 წლის სტაჟი. აღნიშნული სტაჟი არ მოეთხოვება იმთა, ვინც დამთავრა საშუალო სპეციალური სასწავლებელი წარჩინების დიპლომით და შეიკანილი არიან უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ კანდიდატთა რიცხვში, აგრეთვე იმთ ვინც დაამთავრა აღნიშნული სასწავლებლები, აქვთ ფრიადი და კარგი ნიშნები ყველა საგანში; ასეთივე შეფასებით ჩაბარეს სახელმწიფო გამოცდები და მიიღეს პედაგოგიური საბჭოების რეკომენდაცია უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად.

დოკუმენტების მიღების საფუძვლად ჩაითვლება დადგენილი ნიმუშის ცხობები (დანართები № 1 და № 2).

**ინსტიტუტში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:** 1) განცხადება რექტორის სახელზე სათანადო ფორმით, 2) საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დიპლომის დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ, 3) დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც იძლევიან საწარმოს, (დაწესებულების), ორგანიზაციების, ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარეები, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთათვის — სკოლის ხელმძღვანელი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, 4) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის ხელისმოწერით, 5) ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომა 3X4 სმ.), 6) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ. კოლმეურნეთათვის ამონაწერი კოლმეურნეობის შრომის წიგნაკიდან, რომელზეც აღინიშნება დაწესებული გამომუშავების მინიმუმი ყოველ კალენდარული წლისათვის დამოწმებული გამგეობის თავმჯდომარის მიერ.

**ხაშუალო სკოლის დამთავრების მომდევნო წლებში შემომლაგონლობისათვის დადგენილ მხოლოდ ერთ-ერთ საგანში ჰაბარებენ: არქიტექტურის ფაკულტეტზე — ხატვაში, საინჟინრო-ფიზიკურ ფაკულტეტზე — ფიზიკაში (ზეპირი), ქიმიურიო ტექნოლოგიის ფაკულტეტზე — ქიმიაში (ზეპირი), ყველა დანარჩენ ფაკულტეტებზე და სპეციალობებზე — მათემატიკაში (ზეპირი). გამოცდის „ხუთზე" ჩაბარებასას ისინი თავისუფლდებიან მისაღები გამოცდების შემდგომი ჩაბარებისაგან, ხოლო „ოთხის" ან „სამის" მიღებისას ჰაბარებენ გამოცდებს სხვა ყველა შესაბამის საგანში.**

**შენიშვნა:** მიმდინარე წელს, ის ბიტურიენტები, რომელთაც საშუალო სკოლის ატესტატში, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დიპლომებში არა აქვთ ნიშანი „სამი" და დოკუმენტის საშუალო ქულა დამრგვალების გარეშე არის 4,5 და მეტი, პირველი ორი გამოცდის შედეგად 9 ქულის მოგროვების შემთხვევაში, შემდეგი გამოცდების ჩაბარების გარეშე, ჩაირიცხებიან ინსტიტუტში. ეს ეხება აგრეთვე იმ ბიდლოსნებს და წარჩინების დიპლომის მქონე ბიტურიენტებსაც, რომელთაც პირველ გამოცდაზე მიიღეს შეფასება „ოთხი" ხოლო მეორეზე კი „ხუთი".

ჩარიცხვის ეს წესი განხორციელდება მხოლოდ იმ სპეციალობებზე, სადაც ასეთი კატეგორიის ბიტურიენტების რაოდენობა არ ჯადაჯარებს საკონკურსო ადგილების რიცხვს.

**უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებს შემოაქვთ შემდეგი საბუთები:**

1. განცხადება (ბლანკი დადგენილი ფორმით, გაიცემა